15 ივნისს, № 15 1886 წელსა

# მწყემსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თბილისის ეპარქიალური საქალებო სასწავლებლის რჩევისაგან.

თბილისის ეპარქიალური საქალებო სასწავლებლის რჩევა ამით უცხადებს საქართველოს საექსარხოსოს სამღვდელოებას, რომ ამ სასწავლებელში არის სულ 11 თავისუფალი სტიპენდია; გორის მაზრის სამღვდელოების ობოლ-ქალთათვის—3, თბილისის მაზრის სამღვდელოებისათვის—5 და თელავის მაზრის სამღვდელოებისათვის—3.

ამ თავისუფალ სტიპენდიებზე მიღების თხოვნები უნდა შემოტანილ იქმნენ სასწავლებლის რჩევის სახელობაზე 25 აგვისტომდე; თხოვნასთან უნდა იქნეს წარმოდგენილი მეტრიკული მოწმობა, ყვავილის აცრისა და სიღარიბის მოწმობანი.

---

## უმაღლესი ჯილდოები.

ხელმწიფე იმპერატორმა, 5 აპრილს ამა წლისა, კეთილ ინება ბოძება, სასულიერო წოდებაში სამსახურისათვის, შემდეგ ჯილდოთა:

მეორე ხარისხის წმ. ანნისა: საქართველოს საექსარხოსოში, შორაპნის მაზრის სოფლის საჯავის ეკკლესიის დეკანოზს იოანნე აბაშიძეს.

მესამე ხარისხის წმ. ანნისა: საქართველოს საექსარხოსოში—ქვედა ამაღლების ღვთის მშობლის ეკკლესიის მღვდელს გიორგი ღოღობერიძეს; პიატიგორსკის მაცხოვრის სობოროს დეკანოზს ვასილი მრასტოვს; ქალაქ თბილისის სიონის სობოროს დეკანოზს მსტატე მღიევს; დუშეთის მაზრის, ყვავილის მარინეს ეკკლესიის მღვ. იოანნე ძეზელს; ქ. თელავის მიძინების სობოროს დეკანოზს იერემია ხირსელოვს; სტავროპოლის წმინდა მიხაილ-ათონის ზაკუბანის უდაბნოს არქიმანდრიტს მარტირის.

ოქროს გულის ჯვარი მათი უდიდებულესობის კაბინეტიდგან: მორთულნი: საქართველოს საექსარხოსოში ქ. თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზიის ეკკლესიის დეკანოზს გიორგი ხელაძეს; იოანნე-ნათლის მცემლის უდაბნოს არქიმანდრიტს მაკარის.

---

## ქართული საეკკლესიო გალობის აღმადგინებელი კომიტეტის თავმჯდომარეს, ბლაღოჩინს დეკანოზს დავით ღამბაშიძეს, 22 აპრილიდამ 1887 წელსა, № 756.

თქვენ რაპორტზე, ამა 20 მარტიდამ, № 81-ით, რომელთანაც წარმოდგენილია ჟურნალი ბ. ფილიმონ ქორიძისაგან ნოტებზე გადაღებულ 400 ნომრის საეკკლესიო საგალობელთა, წინადაგიდებ თქვენ: შეკრიბოთ ცნობები, თუ რამდენათ დაუჯდება სასულიერო უწყებას დაბეჭდვა ნოტებზე გადაღებულ საგალობელთა და ან რა წყაროს აღმოჩენა შეიძლება ამ ნოტების დასაბეჭდათ და 2) ვუცხადებ კომიტეტის ყველა წევრთა და მათ რიცხვში თქვენც, როგორც კომიტეტის თავს-მჯდომარეს, მადლობას და კურთხევას თქვენი შრომისათვის ამ საქმეში და კომიტეტი საქმის გათავებისა გამო დახურდეს.

გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა.

---

## ანგარიში

შემოსავლისა, გასავლისა და დანარჩენი ფულებისა გორის სასულიერო სასწავლებლის შესანახავად შემოტანილი სამღვდელოების და სასწავლებლის ოლქის ეკკლესიებიდგან 1886 წლისათვის.

ა. მუხლნი შემოსავალთა.

1) 1885 წლიდგან დარჩა 1886 წლისათვის 16,555 მ. 12 კ. აღნიშნულს ჯამს შეადგენენ:

ა, ბილეთი 16,523 მ. და 5 კ. და ბ) ნაღდი ფული 15 მ. 48 კ.; სრულიად 16,538 მ. 53 კ. სასწავლებლის შენობის ასაგებად. ეს ფულები შემოვიდა გორის სასულიერო სასწავლებლის ოლქის სამღვდელოებისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16 მ. 59 კ. ნაღდი ფული სასწავლებლის და მასთან დაარსებული მოსამზადებელი კლასის შესანახავად.

2) 1886 წელში შემოვიდა:

ა.) სასწავლებლის და მასთან დაარსებული მოსამზადებელი კლასის შესანახავად—2466 მ, 56 კ.

სასწავლებლის სამმართველოის ჟურნალური დადგენილობისა მებრ, დამტკიცებულის მთავრობისაგან, 1 დეკემბრიდგან 1879 წ., 17 ნოემბრიდგან 1880 წ., 25 ივნისიდგან 1881 წ. და 25 ივნისიდგან 1882 წლისა ეს ფულები შემოვიდა: 167 მ. 91 კ. თბილისის სახელმწიფო პალატიდგან ატნოშენიით 18 სეკტემბრიდამ 1886 წ., № 12,862; ეს ფულები დაუკავა პალატამ ახალ-ციხის სამღვდელოებას ჯამაგირებისაგან; 1883 მ. 52 კ. გორის მაზრის ხაზინისაგან უატნოშენიოთ, რომელიც მიიღო სასწავლებლის ზედამხედველმა. ეს ფულები იქმნა დაკავებული ხაზინისაგან სასწავლებლის ოლქის სამღვდელოების ჯამაგირებიდგან, რომელსაც ეს სამღვდელოება იღებს გორის მაზრის ხაზინიდგან; 287 მ. მ. 4 კ. ექსარხოსის კანცელარიისაგან, ოტნოშენიით 21 მაისიდგან 1886 წ., № 424; დანარჩენი ფულები შემოვიდა შემდეგი ბლაღოჩინებისაგან: ზურაბ დჯიოევისაგან 86 მ. 75 კ. 1 თებერვლიდამ 1886 წ., № 13 და 1 თებერვლიდამვე იმავე წლისა 14 ნომერით;—იოანნე ქეზელისაგან 26 მ. 87 კ. 29 ნოემბრიდამ 1886 წ. უნომროთ და ლევან პილიევისაგან 14 მ. 40 მ. 4 დეკემბრიდამ 1886 წ. 160 და 161 ნომრებით.

ბ) გორის სასულიერო სასწავლებლის ადგილის სასყიდლად და მასზე სასწავლებლის შენობის ასაშენებლად—18,676 მ. 27 კ.

ამ ფულებიდგან 17,416 მ. 14 კ. შემოვიდა თბილისის სახელმწიფო ბანკის განყოფილების ატნოშენიით 31 მაისიდგან 1886 წ., 5490 ნომრით, ნაცვლად ამ ბანკში გაგზავნილ 16,523 მ. 5 კ. ბილეთისა და 750 მ. ნაღდი ფული 16,523 მ. 5 კ. ბილეთის სარგებლის ანგარიშში; 381 მ. 35 კ. თბილისის ეპარქიალური სანთლის ქარხნის კომიტეტისაგან ოტნოშენიით 10 თებერვლიდამ 1886 წ., 816 ნომრით, ბერსკის წ. გიორგის ეკკლ. შემოსავლისაგან 20% გამოკლებით; 192 მ. 72 კ. ბლაღოჩინის მღვდლის მიხეილ ნასყიდოვისაგან ოტნოშენიით 14 მაისიდგან 1886 წ., 94 ნომრით, იმის საბლაღოჩინოის ეკკლესიების შემოსავლისაგან 20% ანგარიშით შეკრებილი და 40 მ. აბასთუმნის მღვდლის ალექსი ზედგენიძისაგან ოტნოშენიით 23 დეკემბრიდამ 1885 45 ნომრით, 24 თებერვლიდამ 1886 წ. 7 ნომრით; 641 მ. 94 კ. ბლაღოჩინის მღვდლის ნიკოლოზ ცხვეთაძისაგან ატნოშენიით მისი საბლაღოჩინოის ეკკლესიების შემოსავლისაგან 20% ანგარიშით შეკრებილი და 4 მ. 12 კ., რომელიც დააბრუნა ქალაქის არქიტექტორმა ფონ-ბეიდერ ბოროვსკიმ; ეს 4 მ. და 12 კ. მეტი მიიღო მან სასწავლებლის სამმართველოსაგან სასწავლებლის შენობის ცეცხლის ზარალისაგან დასაზღვეველში.

გ) სასწავლებლის წიგნთ-საცავის შესანახავად 285 მ. 30 კ. ამ ფულებს შეადგენს: 210 მ. 86 კ., რომელიც აიღო სასწავლებლის წიგნთ-საცავმა გასყიდულ წიგნებში; ეს ფულები წარმოადგინეს სასწავლებლის სამმართველოში წიგნთ-საცავის გამგებლად ყოფილმა სიმონ ლიაძემ და ამავე წიგნთ-საცავის ეხლანდელმა გამგემ სოლომონ მგალობლიშვილმა. წიგნთ-საცავს სასარგებლოდ შეწირული ფულები: 25 მ., რომელიც შემოსწირა მისმა მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობამ, საქართველოს ექსარხოსმა პავლემ; 9 მ. 20 კ. შემოსწირეს ბლაღოჩინად ყოფილმა სიმონოვმა, დღეს არქიმანდრიტმა ნიკოლოზმა და მისი საბლაღ. ეკ. მოსამსახურეებმა; 8 მ. 45 კ. შემოიტანეს ბლაღოჩინმა დავით ბარნაბოვმა და მისი საბლაღოჩინოის ეკკლესიების მოსამსახურეებმა; 5 შემოსწირა სასწ. ზედამხედველმა დავით დათოშვილმა, ხუთი მანეთი ამ სასწავლებელში მასწავლებლად ყოფილმა ვლადიმირ ლაკერბაიამ, 3 მ. შემოსწირა ამ სასწავლებლის ზედამხედვლის თანაშემწემ საძაგელოვმა; 2 მ.—მასწავლებელმა ალექსანდრე იტ. და 4 მ. 94 კ. ამავე სასწავლებლის მოწაფეებმა.

ბ) მეხლნი გასავალთა.

1) იმ ფულებიდგან, რომელიც დანიშნულია სასწავლებლის და მოსამზადებელი კლასის შესანახავად

მიეცათ:

ა.) ქართული ენის მასწავლებელს სოფრონი მგალობლიშვილს 180 მ. 31 კ., 160 მ. დამატებითი ჯამაგირისგან ქართული ენის სწავლებისათვის სასწავლებლის ნორმალურ კლასებში, კიდევ 6 მ. 96 კ., რომელიც ერგებოდა მას იმავე ოკ-

ლადისაგან 1885 წელში; 13 მ. 36 კ. სასწავლებლის წიგნთ-საცავის მმართვისათვის 1 იანვრიდამ 1885 წ. 1 სეკტემბრამდე 1886 წლისა იმ 40 მანეთიდგან, რომელიც დანიშნულია წიგნთ-საცავის მართვისათვის გორის სასწავლებლის ოლქის სამღვდელოების კრების ჟურნალური დადგენილობისა მებრ 25 ივნისიდგან 1882 წ., დამტკიცებულის ექსარხოსისაგან.

ბ) გალობის მასწავლებლად ყოფილს ნიკოლოზ ბერიევს 13 მ. 68 კ. იმ ოცი მანეთიდგან, რომელიც დანიშნული იყო ქართული გალობის გაკვეთილების სწავლებისათვის ამ სასწავლებლის ოლქის სამღვდელოების ჟურნალური დადგენილობისა მებრ 15 ნოემბრიდამ 1883 წლისა, დამტკიცებულის საქართველოს ექსარხოსისაგან. ეს 13 მ. 68 კ. მიეცა მას 1 იანვრიდამ 1886 წ. 1 სეკტემბრამდე ამავე წლისა.

გ) ბერძნული ენის მასწავლებლად ყოფილს სიმონ ლიაძეს 26 მ. 78 კ.

ეს 26 მ. 78 კ. მიეცა მას წლიური 40 მანეთიდგან სასწავლებლის წიგნთ-საცავის მართვისათვის 1 სეკტემრიდამ 1886 წლისა 1 იანვრამდე 1887 წ., და 14 კ. გასყიდული წიგნების მონაგები ფულებიდგან 2% ანგარიშით, რომელიც დადგენილია გორის სასწავლებლის ოლქის სამღვდელოების კრებისაგან 25 ივნისს 1882 წელსა.

დ) რუსული გალობის მასწავლებლად ყოფილს ილია ავრამენკოს 17 მ. 49 კ.

ეს ფულები მიეცა დამატებითი 140 მანეთიდგან, რომელიც დანიშნულია ქართული და რუსული გალობის მასწავლებლისათვის, 15 სეკტემბრიდამ 1886 1 იანვრამდე 1887 წ. სასწავლებლის ოლქის სამღვდელოების ჟურნალური დადგენილობისა მებრ 25 ივნისიდგან 1886 წ., დამტკიცებულის საქართველოს ექსარხოსისაგან.

ე) ქართული გალობის მასწავლებელს დავით ქაპანაძეს 17 მ. 49 კ. ეს ფულები მიეცა მას იმ 140 მ., რომელიც დანიშნულია სამღვდელოებისაგან რუსული და ქართული გალობის მასწავლებლისათვის. ეს ფულები მიიღო მან 1 სეკტემბრიდამ 1886 წ. 1 იანვრამდე 1887 წ.

ვ) სასწავლებლის აღმზრდელს ივანე ქაპანაძეს 420 მანეთი. ეს 420 მანეთი მიეცა მას აღმზრდელის თანამდებობის აღსრულებისათვის 1 იანვრიდამ 1886 1 იანვრამდე 1887 წლისა გორის სასწავლებლის ოლქის სამღვდელოების ჟურნალური დადგენილობისა მებრ 30 ნოემბრიდამ 1885 წ., დამტკიცებულის სასულიერო მთავრობისაგან.

ზ.) ზედა მოსამზადებელი კლასის მასწავლებელს ზაქარია დავიდოვს 600 მ.

ეს ფულები მიეცა მას 1 იანვრიდამ 1886 წ. 1 იანვრამდე 1887 წ. გორის სასწავლებლის ოლქის სამღვდელოების კრების ჟურნალური დადგენილობისა მებრ 25 ივნისიდგან 1884 წ., დამტკიცებულის საქართველოს ექსარხოსისაგან.

ჱ) მეორე მოსამზადებელი კლასის მასწავლებელს დიმიტრი ხახუტოვს 620 მ.

ამ ფულებიდგან 600 მიეცა მას, როგორც ძირა მოსამზადებელი კლასის მასწავლებელის, ხოლო 20 მანეთი ამავე კლასში ქართული გალობის გაკვეთილების სწავლებისათვის ამავე სასწავლებლის ოლქის სამღვდელოების ჟურნალური დადგენილობისა მებრ 15 ნოემბრიდამ 1883 წ., დამტკიცებულის ექსარხოსისაგან.

თ) სასწავლებლის შენობის შესანახავად 540 მ. გორის სასწავლებლის ოლქის სამღვდელოების კრების ჟურნალური დადგენილობისა მებრ 23 ნოემბრიდამ 1883 წ., 25 ივნისიდგან 1885 წ. და 25 ივნისიდგან 1886 წ. ამ ფულებიდგან 190 მანეთი დაიხარჯა სასწავლებლის მოსამზადებელი კლასის შესანახავად, ხოლო 350 მ. გადიდვა სასწავლებლის შენობის აღსაშენებლად.

ი) სასწავლებლის კანცელარიის შესანახავად 195 მ. 96 კ.

145 მ. 96 კ. მიეცა სასწავლებლის სამმართველოის საქმის მწარმოებლად ყოფილს სიმონ ლომაუროვს 146 მან. 40 კაპ. წლიური ჯამაგირისაგან 1 იანვრიდამ 1886 წ. 1 იანვრამდე 1887 წ., და 50 მანეთი კანცელარიის სხვა-და სხვა საჭიროებაზე დაიხარჯა ამავე სასწავლებლის ოლქის სამღვდელოების კრების ჟურნალური დადგენილობისა მებრ 15 ნოემბრიდამ 1883 წ. და 25 ივნისიდგან 1885 და 1886 წლებისა, დამტკიცებულის ექსარხოსისაგან.

2) იმ ფულებიდგან, რომელიც დანიშნულია სასწავლებლის შენობის ასაშენებლად.

ა) შეიგზავნა თბილისის სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში, ბილეთის გამოსაცვლელად და ხვედრი სარგებლის თავნისადმი მისამატებლად, 16,523 მანეთი 5 კ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბ) გაიგზავნა ამავე ბანკში სასარგებლოდ ნაღდი ფულები 750 მ.

გ) ბილეთის და ნაღდი ფულების გასაგზავნად დაიხარჯა 3 მ. 45 კ.

დ) „კავკაზი“-ს და „ივერიის“ რედაქციებს მიეცათ სასწავლებლის შენობის აღშენების თაობაზე დანიშნული ვაჭრობის განცხადების დასაბეჭდავად და ამ დასაბეჭდი ფულების რედაქციებში გასაგზავნად 44 მ. 44 კ.

ე) მიეცა ეპარქიალურ არქიტექტორს ბილ-შელდს სასწავლებლის შენობის გეგმის და ანგარიშის შესადგენად 139 მ. 23 კ.

ვ) ამ ფულების გასაგზავნად დაიხარჯა 77 კ.

ზ) დაზღვეულ იქმნა ცეცხლის ზარალისაგან გორის სასწავლებლის შენობა, რომელშიაც დაიხარჯა 60 მ. 10 კ.

თ) მიეცა სასწავლებლის ზედამხედველს დავით დათოშვილს სასწავლებლის საქმეებისა გამო ტფილისში წასასვლელად 14 მ. 16 კ.

ი) გაიგზავნა ექსარხოსის კანცელარიაში 1 მ. 25 კ., რომელიც ამ კანცელარიამ დახარჯა გორის სასწავლებლის შენობის აღშენების საქმისა გამო.

კ) ამ ფულების გასაგზავნად დაიხარჯა 8 კ.

ლ) იმ ფულებიდამ, რომელიც დანიშნული იყო სასწავლებლის და მოსამზადებელი კლასის შესანახავად ხმარებულ იქმნა:

ა) სრულ სახელმწიფო ხარჯზე მცხოვრებ პანსიონერ ათანასე ყუბანიევზე 60 მ.

ბ) შესანახავად სასწავლებლის წიგნთ-საცავისა, რომელიც ყიდდა სახელმძღვანელო და სხვა წიგნებს 285 მ. 30 კ.

სრულიად 20,513 მ. 54 კ.

1886 წელში შემოვიდა 37,983 მ. 25 კ.

ამავე წელში დაიხარჯა ნაღდად და ბილეთებით 20,513 მ. 54 კ.

1887 წლისათვის დარჩა 17,469 მ. 71 კ. ამ უკანასკნელ ფულებს შეადგენენ:

1) 17,328 მ. 27 კ., რომელიც დანიშნულია სასწავლებლის შენობის ასაშენებლად.

2) 141 მ. 44 კ., რომელიც დანიშნულია მოსამზადებელი კლასის შესანახავად.

30 ივნისს, № 15 1887 წელსა.

# მწყემსი

1883-1887

მწყემსი დამატებით გამოდის თვეში ორჯერ, ყოველი თვის თხუთმეტს და ოც-და-ათ რიცხვებში.

**გაზეთის ფასი:**

| | |
|---|---|
| ერთი წლისა გაგზავნით დაგაუგზავნელად | 5 მან. |
| ნახევარი წლის — — — | 3 — |
| „მწყემსი“ რუსული დამატებით — | 6 — |
| ნახევარი წლით — — — | 4 — |
| ცალკე რუსული დამატება წლით — | 3 — |
| ნახევარი წლით — — — | 2 — |

გაზეთის ფული და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: *Въ Кви-рилы, Въ редакцію „Мцкемси“ (Пастырь).*

ყველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქმნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდავათ, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი. ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ.

სტატია, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკან-ვე დაუბრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულ ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

## რა სარგებლობა მოიტანა სამღვდელოების კრებამ ოცი წლის განმავლობაში?

წელს შესრულდება, სწორეთ, ოცი წელიწადი, რაც დაარსდენ სამღვდელოების შეკრებილებანი, სემინარიის და ოთხ-კლასიანი სასულიერო სასწავლებლების სამართველონი. რამდენიც უნდა ილაპარაკონ და დაამცირონ სამღვდელოების კრებათა მოქმედება სემინარიისა და ოთხ-კლასიან სასწავლებელთა სასარგებლოდ, რამდენიც უნდა სწერონ და აყვედრონ სამღვდელოების კრებანი ოთხ კლასიან სასულიერო სასწავლებლების ზოგიერთმა ზედამხედველებმა, მაინც სარგებლობა და დიდი ნაყოფი ამ კრებათა ცხადი და აშკარაა ყველასათვის. ჯერ კიდევ კარგად გვახსოვს ყველას, თუ როგორ მიდიოდა საქმე ჩვენ სასულიერო სასწავლებლებში როგორც სწავლების მხრით, ისე ეკონომიურად 1867 წლამდე. დღეს როდესაც ძველი დროის პედაგოგიური ზომების ხმარება მოგაგონდება კაცს, ჟრუანტელი დაგივლის ტანში და გიხარიან, რომ იმ დროს უენებლად გადაურჩით. რაიცა შეეხება სასწავლებელთა ეკონომიურ მხარეს აქ კი გაოცებული ეკითხები შენს თავს: როგორ სცხოვრობდენ ძველ დროში მოწაფეები იმ ცოტა ფულით, რომლითაც დანიშნული იყო მათ შესანახავად?

სასულიერო მართებლობა სულით და გულით ცდილობდა სასულიერო სასწავლებლების მდგომარეობის გაუმჯობესებას როგორც სწავლის მხრით, ისე ეკონომიურად; მაგრამ, სამწუხაროდ, არავითარი ღონე არა ჰქონდა მას თავისი კეთილი სურვილის აღსასრულებლად. ამისათვის ახალი სასწავლებლების გახსნაზე მაინც და მაინც ბევრს არც კი ფიქრობდა. სასწავლებლების კეთილ-მდგომარეობაზე სასულიერო მთავრობისათვის უნდა მოეხსენებიათ თვითონ სასწავლებლების მეუფროსეთა. იგინიც თავიანთი თავის გამოსაჩენად ყოველთვის კარგად ადგენდენ ხოლმე საქმეს, თუმცა სასწავლებლებში მოგწაფენი, თითქმის, შიმშილით იხოცებოდნენ!...

გამოვიდა ახალი წესდება სასულიერო სასწავლებელთათვის. ძველი წეს-წყობილება სასწავლებლებში მთლად შეიცვალა. უპირველესი ზრუნვა სასწავლებლის მდგომარეობაზე სამღვდელოებას დაედვა მოვალეობად. დაარსდა სამღვდელოების კრებანი. გაემგზავრენ სამღვდელოების „დეპუტატნი“ ეპარქიის ქალაქებში კრებების შესადგენად. დაიწყეს თავიანთი შვილების აღზრდაზე მსჯელობა. მართლაც და ვინ იზრუნებს შვილზე ისე ერთგულად, როგორც საკუთარი მამა? და მართლაც ძლიერ მალე შესამჩნევად გამოცხადდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ოცი წლის განმავლობაში სამღვდელოების კრებათა წყალობით სასწავლებლების რიცხვმა ერთი-ორად და სამად იმატა. მოსწავლეთა რიცხვი საოცრად გამრავლდა, პანსიონერების რიცხვმაც შესამჩნევად მოიმატა, სამღვდელოებამ ზრუნველობა გამოიჩინა არა თუ მარტო ობლებზე, არამედ თავიანთ მოძმეთა ღარიბ შვილებზედაც. გლეხებსაც გაუღო თავიანთი სასწავლებლების კარი და იმათი ღარიბი შვილებიც თავიანთ შვილებთან ერთად დააყენა. სასწავლებლები გადაკეთდენ; წინანდელი უბრალო სახლების მაგიერ დიდი სასახლეები აშენდნენ. აშენდნენ აგრეთვე შაგირდების საზოგადო დასადგომი ბინები. სამღვდელოების კრებათა გააუმჯობესეს მასწავლებელთა მდგომარეობაც: სამღვდელოებამ დაინახა, რომ მასწავლებლებს მცირე ჯამაგირები ჰქონდათ დანიშნული მთავრობისაგან და ამიტომ მათ ჯამაგირებს თავის ჯიბიდგან მიუმატა ფული. ერთი სიტყვით, ამ ოცი წლის განმავლობაში ამ სამღვდელოების ყრილობათა წყალობით თითქმის მილლიონზე მეტი ფული იხარჯება სასწავლებლებზე ყოველ წლობით. რამდენი სტიპენდიები დაარსდა,—ამას ვინ მოსთვლის! დავანებოთ სხვა სამღვდელოებას თავი, ავიღოთ მარტო იმერეთის ეპარქიის სამღვდელოება, ყველაზედ ღარიბესი. ამ ოცი წლის განმავლობაში ამ სამღვდელოებას მარტო ერთად ერთ სასწავლებელზე დაუხარჯავს მეოთხედ მილლიონზე მეტი. რაღა უნდა ვსთქვათ მთელი რუსეთის ეპარქიების სამღვდელოებისაგან მოხდენილ ხარჯზე? აი, რა დიდი ნაყოფი მოიტანა სამღვდელოების კრებათა დაარსებამ. დასამტკიცებლად ჩვენი აზრისა მოვიყვანთ აქ უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორის ხელმწიფისადმი მირთმეული ანგარიშიდამ რამდენიმე სიტყვასა: „სამღვდელოება სრულის ყურადღებით და თანაგრძნობით შედის სასწავლებლის მდგომარეობაში და ნიადაგ ზრუნავს მათ კეთილ-მდგომარეობაზე, სძებნის სხვადა-სხვა წყაროთა სასწავლებლების მდგომარეობის გაუმჯობესობისათვის.“ აი კიდევ მეორე ანგარიშში რას ამბობს პროკურორი: „სამღვდელოება დიდ ყურადღებას აქცევს საშუალო და დაბალ სასულიერო სასწავლებლებს და მოწოდებული უმაღლესი მთავრობისაგან მონაწილეობის მისაღებად ამ სასწავლებელთა მდგომარეობის გაუმჯობესობის საქმეში, სამღვდელოება ყველგან, დამოწმებისამებრ მღვდელ-მთავართა, იჩენს დიდ მზრუნველობას სასწავლებლის შესახებ და ცდილობს, რომ ამ სასწავლებელთა მდგომარეობა ყოველის მხრით გაუმჯობესებულ იქმნეს.“

ამისთანა აზრი უწმიდესი სინოდის ეხლანდელი ობერ-პროკურორისა სრულებით საკმაო არის დასამტკიცებლად იმისა, რომ სამღვდელოება საზოგადოდ დიდ მზრუნველობას იჩენს სასულიერო სასწავლებლებზე და თავისი შვილების აღზრდაზე; მტკიცდება აგრეთვე ისიც, რომ სამღვდელოების შეკრებილებათ დიდი ნაყოფი მოაქვსთ სასწავლებლების სასარგებლოდ.

მაგრამ სამწუხაროდ ამისთანა სასარგებლო დაწესებულებასაც კი აღმოუჩნდნენ მტრები და უნდათ ამ კრებათა მოსპობა. ჩვენ არ ვიტყვით, რომ ყველგან და ყოველთვის სამღვდელოების შეკრებილება ნაყოფიერად იქცეოდა და თავის მოვალეობას მტკიცედ ასრულებდა. ძლიერ შესაძლებელია, რომ როდისმე და რომელიმე ალაგას სამღვდელოების კრება კანონიერად ვერ მოიქცა და დიდი სარგებლობა ვერ მოიტანა, მაგრამ მიზეზი ამისთანა სამწუხარო მოვლენათა მარტო სამღვდელოების დეპუტატებში არ უნდა ვეძიოთ. უმთავრესი მიზეზი ამ სამწუხარო მოვლენათა ყოფილან ხან თვითონ სასწავლებლების ზედამხედველნი და ხან სხვანიცა. შენიშნულია, რომ როდესაც ეს მიზეზნი აშორებიან სამღვდელოების კრებათა, ისინი თავიანთ კალაპოტში ჩამდგარან და საქმე რიგიანად წაუყვანიათ.

ცხადად და აშკარად დამტკიცებულია ზოგიერთი თანამდებობის პირთა ბოროტ-მოქმედება და უსარგებლობა საზოგადოებისათვის, მაგრამ ყოველთვის საზოგადოებაში ამ კაცის დათხოვნაზედ და მოშორებაზედ აღძრულა კითხვა და არა იმ თანამდებობის გაუქმებაზე, რომელზედაც ეს კაცი მსახურებდა. ესევე უნდა ითქვას სამღვდელოების კრებებზედაც. ზოგიერთი სამღვდელოების კრება რომ სასწავლებლების ზედამხედველების სასიამოვნოდ ვერ მოიქცეს და ან თავის მოვალეობა რიგიანად ვერ აღასრულოს, აქედამ არავის არა აქვს ნება სამღვ. კრებების გაუქმება მოითხოვს საზოგადოდ. რუსეთის იმპერიის ზოგიერთ ადგილას ეპარქიის მღვდელ-მთავრებიც კი რაღაცა სხვა ნაირი თვალით უყურებენ სამღვდელოების კრებათა. ამ კრებებში ისინი თავიანთ უფლების დამცირებას ხედვენ, მაგრამ, ჩვენის აზრით, მღვდელთ-მთავრების უფლებას სრულებით არ ამცირებს კრების განჩინებანი. კრების განჩინებას მღვდელ-მთავარი სრულიად დაარღვევს და გააუქმებს; საკმაოა ერთი კალმის წასმა, რომ კრების განაჩენს ყოველივე მნიშვნელობა დაეკარგოს და სამღვდელოების შეკრებილებას კი არა ვითარი უფლება არ აქვს იმის განხილვაში შევიდეს,—კანონიერად იყვნენ დარღვეულნი კრებათა განჩინებანი თუ არა. აქედამ სჩანს, რომ სამღვდელოებათა კრებების არსებობა სრულებით არ ამცირებს მღვდელ-მთავართა უფლებას.

სულით და გულით ვინატრით, რომ სამღვდელოების შეკრებილებანი ნიადაგ არსებულიყვნენ სასარგებლოდ სასულიერო სასწავლებელთა და ამ სასწავლებლებში მოსწავლეთა და მასწავლებელთა.

დეკ. დ. ღამბაშიძე.

## იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების შეკრებილება ქ. ქუთაისში.

ამ თთვის 16, 17 და 18-რიცხვებში შეკრებილება ჰქონდათ ქ. ქუთაისში იმერეთის სამღვდელოებისაგან ამორჩეულ დეპუტატებს. კრების თავს-მჯდომარის მღ. ნ. ხუციევის ამორჩევის შემდეგ, მობრძანდა კრებაზე ყოვლად სამღვდელო, იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი, რომელმაც ჩვეულებისა მებრ მრავალი დარიგება მისცა სამღვდელოებას მისი მოვალეობის მტკიცედ აღსრულების შესახებ. მოუთხრო სამღვდელოებას ყველა ის ნაკლულევანებანი, რომელნიც ყოვლად სამღვდელომ შეენიშნა რევიზიის დროს და დაარიგა ყველა სამღვდელო პირნი, რომ ისინი აერიდონ ამ ნაკლულევანებათა. მისცა სამღვდელოებას მრავალი დარიგება, თუ როგორ უნდა სცდილობდნენ იგინი ეკკლესიების შემკობისა და გამშვენებისათვის. აუხსნა და განუმარტა სამღვდელოებას უმთავრესი საგანი ამ შეკრებილებისა და შემდეგ შინ წაბრძანდა. რიგის შეკრებილება სამღვდელოებისა ყოველთვის წლის დამლევს მოხდება ხოლმე, მაგრამ წელს ეს შეკრებილება ასე ადრე იყო დანიშნული. მიზეზი სამღვდელოების ასე ადრე შეკრებისა იყო უმაღლესი სასულიერო მთავრობის განკარგულება შესახებ პარალელური განყოფილების გახსნისა ტფილისის სასულიერო სემინარიის მესამე კლასთან. როგორც მკითხველებმა იციან, ამ უკანასკნელს დროს ტფილისის სასულიერო სემინარიაში შაგირდების რიცხვმა ქუთაისის გუბერნიიდამ ძალიან მოიმატა და საჭირო შეიქმნა პირველ, მეორე და მესამე ნორმალურ კლასებთან პარალელურ განყოფილებათა გახსნა. იმერეთის და გურია-სამეგრელოის სამღვდელოებისაგან ამ პარალლელურ განყოფილების გახსნისათვის ითხოვება ყოველ წლობით ათას-ხუთასი მანეთი და ერთ დროებით სამასი მანეთი. გურია-სამეგრელოის ეპარქიის სამღვდელოებამ დაადგინა თავის კრებაზე, რომ ყოველ წლობით შეიტანონ ხუთას-ხუთასი მანეთი და ერთ დროებითად 150 მანეთი და დანარჩენი დაუტოვეს გარდასახადად იმერეთის, აფხაზეთის და ვლადიკავკაზის ეპარქიების სამღვდელოებათა. იმერეთის სამღვდელოების შეკრებილებამ გადასწყვიტა, რომ მოთხოვნილი ფულებიდგან ნახევარი, ე. ი. 750 მანეთი ყოველ წლობით და ერთ დროებითად—150 მან. შეიტანოს მესამე პარალელური განყოფილების შესანახავად. ამისათვის თვითოეულ კრებულს შეხვდა ორ-ორი (2 მ.) მანეთი და ერთ დროებითად ორ-ორი აბაზი. იმერეთის სამღვდელოების კრება ძლიერ პატიოსნურად მოიქცა ამ კრებაზე და რიგიანი გამჭრიახობა და ზრუნვა გამოიჩინა თავისი შვილების აღზრდის შესახებ. ამ შეკრებილებაზე სამღვდელოების დეპუტატებს წარედგინათ დაბეჭდილი ანგარიში სასწავლებლის შესავალ-გასავლისა 1886 წლისა. ანგარიში, წარმოდგენილი სასწავლებლის სამმართველოსაგან, სამღვდელოების კრებამ მიიღო და დაამტკიცა. განიხილა და დაამტკიცა აგრეთვე მომავალი წლის სასწავლებლის შესანახავად საჭირო ხარჯთა-აღრიცხვა, რომლითაც სამღვდელოებას ეთხოვებოდა ცამეტი ათას-სამას მანეთამდე.

სასწავლებლის ზედამხედველმა ბ. ნ. გ. ტატიევმა წინა დადება მისცა სამღვდელოების დეპუტატებს, რომ ამ უკანასკნელთ წარსულ წელში პანსიონში მცხოვრებ შაგირდებისათვის დანიშნულ ხარჯზე კიდევ მოემატებიათ ფულები პანსიონერთა ცხოვრების გასაუმჯობესებლად. ითხოვებოდა აგრეთვე ფულების მომატება საავდ-მყოფოს შესანახავად. ამასთანავე ითხოვებოდა, რომ რამდენიმე მასწავლებელნი დაესაჩუქრებია კრებას ფულით და სასწავლებლის აღმზრდელებისათვის (надзиратели) მოემატებიათ ჯამაგირები, მაგრამ სამღვდელოების კრებამ, საშუალებათა უმქონებლობისა გამო, ყველა მოთხოვნილებაზე უარი განაცხდა. მხოლოდ ერთ მასწავლებელს, რომელსაც მართლა მცირე ჯამაგირიც აქვს და ერთგულადაც მსახურებს თავის თანამდებობაზე, სამღვდელოებამ დაუნიშნა ორას ორმოც-და-ათი მანეთი ერთ-დროებითად. დანარჩენ მასწავლებლებს თხოვნაზე უარი ეთქვათ. გვიკვირს, რომ ამ მასწავლებლებსაც აღარ მოსწყინდათ თხოვნების წერა საჩუქარი ფულების დანიშვნაზე.

ყოველ შეკრებილებაზე დიდ ბაას იწვევს ხოლმე სამღვდელოებაზე დარჩენილი ფულების შეკრების საქმე. ამ კრებაზედაც დიდი ბაასი გამოიწვია ამ საქმემ. სამღვდელოებაზე დარჩენილი ფულების რიცხვი, თითქმის, ამ წლამდის ათი-ათას მანეთამდე ადიოდა, მაგრამ კარგად რომ გამოიკვლიოს კაცმა, ამ ათი-ათასი მანეთის ნახევარიც არ იქნება დარჩენილი სამღვდელოებაზე. ყოვლად სამღვდელოს გაბრიელისაგან მოხდა ფიცხელი განკარგულება ამ დარჩენილი ფულების შეკრებაზე. სასწავლებლის სამმართველოსაგან მოეთხოვა ბლაღოჩინებს და სამღვდელოებას სასწავლებლის ზედამხედველებისაგან მიცემული კვიტანციები ფუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების წარმოდგენაზე. იქმნენ წარმოდგენილნი კვიტანციები, რომლებიც შეადარეს შესავლის წიგნში ჩაწერილ კვიტანციებს. ამ შედარებით აღმოჩნდა შემდეგი: სასწავლებლის ზოგიერთ ზედამხედველებს მიუღიათ ფულები ბლაღოჩინთა და დეპუტატთაგან, რომლებთათვის უძლევიათ კვიტანციები ფულების მიღებაზე, მაგრამ ამ მიღებულ ფულებიდგან მარტო ნახევარი უჩვენებიათ შესავალ წიგნში და ნახევარი კი აღარა სჩანს. ამისთანა კვიტანციები ბევრი წარმოადგინა ბლაღოჩინმა ჭიპაშვილმა სამღვდელოების კრებაზე. ამისთანა უწესოება ყველაზე ნამეტნავად ჩაუდენია განსვენებულ მიხეილ ასათიანს. სამღვდელოების მხრით ერთმა აღრჩეულმა წევრმა ბევრი ილაპარაკა თავის დროზედ ასეთ უწესოებაზე, მაგრამ მას ყურადღება არ მიაქციეს. გამოძიებაც ინიშნებოდა ხოლმე, მაგრამ ყველა ბოროტ-მოქმედება იმალებოდა. ეს მკვირალა წევრი სასწავლებლის სამმართველოიდგან თითქმის დაითხოვეს, მაგრამ ბოროტება ნიადაგ არ დაიფარება. დღეს ამ გვარად იჩინა თავი ბოროტებამ, მაგრამ რაღა დროს; ვინ მოსთხოვს საიქიოს ამ ფულებს ნეტარ ხსენებულთ ზედამხედველთა?! რიგი და სამართალია, რომ ეს დაკარგული ფულები მოეთხოვოს იმ პირთა, რომელნიც ამ ზედამხედველებთან ერთად მსახურებდნენ სასწავლებლის სამმართველოში. მაგრამ ფულებს იღებს ხოლმე მარტო ზედამხედველი და სხვა წევრები რით შეიტყობენ, თუ რამდენი ფული მიიღო ზედამხედველმა დეპუტატებისაგან და როგორი კვიტანცია მისცა მათ? *)

ასე ბოროტად მოხმარებული ფულების აღმოჩენის მიზეზი არის სასწავლებლის ეხლანდელი ზედამხედველი ბ. ტატიევი, რომელიც ასე ერთგულებით ემსახურება სასწავლებლის საქმეს და რომელიც მზად არის დღე და ღამე სასწავლებლის საქმეზე იზრუნოს.

ამ უკანასკნელ შეკრებილებაზე სამღვდელოებას, წინა დღეებისამებრ ხონის ბლაღ. მაჭარაძისა, ჰქონდა ბაასი წმინდა სანთლის გასყიდვის შესახებ. დეპუტატებმა ისურვეს, რომ წმინდა სანთლის ღეროებით გასყიდვა ყველა სანთლის საწყობებში იქმნეს აღკრძალული, ვინაიდგან ეს დიდ ზარალს აძლევს სამრევლო ეკკლესიებს და ამით ბოროტ მოქმედებასაც სრული უფლება აქვს მინიჭებული თავისუფლად მოქმედებისა. სამწუხაროდ ამ ბაასს არ მიექცა ჯეროვანი ყურადღება და არც ჟურნალი შეადგინეს ამაზე. *)

ამ კრებაზე სხვა საგნებზედაც იყო ბაასი, მაგრამ ეს საბაასო საგნები მაგდენად შესანიშნავნი არ არიან.

---

*) უბედურება ის არის, რომ სასწავლებლების წესდებულება ან ყველამ არ იცის კარგად, ან იციან, მაგრამ არ უნდათ ამ წესდებულების თანახმად მოიქცნენ. სასწავლებლის წესდებულებათა შემდგენელთ სახეში ჰქონდათ ზოგიერთი თანამდებობის პირთა ბოროტ-განზრახულება და სახელმწიფო ფულების უმართლოდ მითვისება. ამისათვის არის დაარსებული სასწავლებლებში სამმართველონი, რომელნიც შესდგებიან სუთი წევრისაგან. ყოველ გვარი ქაღალდი, რაც კი შემოვა სამმართველოში, ფულის შესახებ იქნება ის, თუ სხვა რაიმესი, უთუოდ სამმართველოს ყველა წევრებმა უნდა მოისმინონ და შეიტყონ. სასწავლებლის ზედამხედველი, როდესაც ფულს იღებს ბლაღოჩინის ანუ დეპუტატისაგან ქაღალდით,ვალდებულია ეს ქაღალდი სასწავლებლის ყველა წევრებს მოასმენინოს. ამ მოსმენის დროს, რასაკვირველია, ყოველივეს შეიტყობენ წევრნი. თუ ასე არ იქცევიან სასწავლებლის სამმართველოში, რასაკვირველია, ბოროტ-მოქმედება დაიფარება და უკანონოთ სახელმწიფო ფულების მიმთვისებელნიც გამოჩნდებიან.

რედაქტორი.

*) კანონით დიდი ხნიდგან არის აღკრძალული წმინდა სანთლის ღეროებით გასყიდვა ეკკლესიების გარეშე და ჩვენის აზრით ამას აღარავითარი ჟურნალის შედგენა არ სჭირდება. საჭიროა მხოლოდ ამ საქმის შესახებ დადგენილი კანონი მოიყვანონ სისრულეში.

რედაქტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გელათის მონასტერი.



მეფე დავით აღმაშენებელი.

# გელათის მონასტერი.

ქ. ქუთაისიდგან ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მხრით, რვა ვერსტის მანძილზე, პატარა კლდის ციცაბო დაღმართზე მდებარეობს გელათის მონასტერი, რომელიც წარმოგვიდგენს დღეს საქართველო-ბიზანტიურ ხელოვნების ნაშთს. ეს მონასტერი არის წმიდა ადგილი მთელი დასავლეთი საქართველოისა. იგი არის საუკეთესო ძეგლი მისი დამაარსებლისა და ამ მხარეში საუკეთესო ხანის დასაწყისისა. (*) სიტყვა გელათი, რომელსაც უწოდებენ ამ მონასტერს, არაფერს არ ნიშნავს. მონასტრის ნამდვილი სახელი არის გაენათი, ანუ გენათი, რომელიც წარმომდგარა ბერძნულის სიტყვის „გენათლიაკონ“-ისაგან და ნიშნავს დაბადებას. ალბად ასეთი სახელი ეწოდა მონასტერს იმისა გამო, რომ მონასტრის უმთავრესი ტაძარი არის აღშენებული ღვთის მშობლის დაბადების სახელობაზე.

ამ მონასტრის გარშემო ბევრი ძველი სახსოვრებია ქრისტიანობის დროისა. მონასტრის ცოტა მოშორებით დღესაც არის ფერისცვალების სავანე მონაზონ ქალთათვის. ეს სავანე აღუშენებია მეფე დავით აღმაშენებელს. ქედზე, რომელიც ზემოდგან დასჩერებია მონასტერს, დღესაც არის ნანგრევები სამი ძველი ეკკლესიებისა. ერთი ამ ეკკლესიათაგანი გარეთ და შიგნით სავსეა სასაფლაოებით, რომელნიც გამოქვაბულნი არიან კლდეებში და რომლებსაც მიფარებული აქვსთ პრტყელი ქვები.

ადგილი, რომელზედაც მონასტერი არის აღშენებული, მშვენიერ სურათს წარმოუდგენს მნახველს. მონასტერს გარშემო ტყე არტყია. თვით მონასტერი მდებარეობს დაღმართის ზემო ნაწილზე, საიდგანაც კაცი დასჩერებია წყალ-წითელას ჭალებს, რომლებსაც ამშვენებენ ტყეები, ვენახები და სახნავი მიწები. ამ ჭალაში აქა-იქ აყუდებულნი არიან ეკკლესიების და კოშკების ნანგრევნი. მონასტრიდგან ჩრდილოეთით მოსჩანან მაღალი მთები, რომელთა შორის მთელ იმერეთში შესანიშნავია ხომლის ქედი. ეს ქედი ჰყოფს მდ. რიონის და ცხენის წყლის სათავეებს და მედიდურად დასჩერებია სხვა ქედებს. მონასტრის უკან გამწკრივებულნი არიან საკირე კლდეები, რომლებზედაც არაფერი მცენარეობა არ მოიპოვება.

მონასტერს გარს ზღუდე აქვს შემოვლებული. ზღუდის შიგნივ არის ეზო, რომლის გარშემო აღშენებულნი არიან შენობები მონასტრის ძმათა საცხოვრებლად. ამ შენობათა შორის ყველაზე შესანიშნავი ყოფილა ერთი ძველი და ვრცელი შენობა, რომელიც უწინ მონასტრის ძმათა ტრაპეზად (პურის საჭმელი სახლი) ყოფილა. ამ შენობის დღეს მხოლოდ კედლები და დერეფანი ღა არის დარჩენილი. მონასტერში არის სამი ტაძარი, რომელნიც ჩამწკრივებულნი არიან ერთი ერთმანერთის მახლობლად. ამ ტაძრებს შორის უფრო დიდი და ვრცელი ტაძარი არის ღვთის მშობლის დაბადებისა, აღმოსავლეთის მხრით არის პატარა ტაძარი წმიდა გიორგისა, ხოლო დასავლეთით წმ. ნიკოლოზისა. ამ ეკკლესიებში წმ. გიორგის ტაძარი უფრო ძველი დროისა უნდა იყოს, ხოლო წმ. ნიკოლოზისა წარმოგვიდგენს პატარა ეკვდერს.

## როდის და ვისგან არის აღშენებული გაენათის მონასტერი?

გაენათის მონასტერი აღუშენებია საქართველოს მეფეს დავით აღმაშენებელს, რომელიც მეფობდა 1089-1125 წლებში. პირველად ეს მონასტერი იყო მღვდელ-მონაზონთა სავანე; მაგრამ შემდეგ და სახელდობრ XVI საუკუნის პირველ ნახევარში იმერეთის მეფემ ბაგრატ III, რომელიც იყო ძე ალექსანდრე II (1510 1548) და აფხაზეთის კათალიკოსმა მალაქიამ დაარსეს აქ ეპისკოპოზის კათედრა, სადაც ეპისკოპოზად დააყენეს მელქისედეკ საყვარელიძე. ამ ეპარქიის საზღვრები, როგორც მოგვითხრობს ერთი გუჯარი, ყოფილა ქუთაისი, რიონი, ყვირილა, გაცხა, ხრეითი და რაჭის ქედი, ე. ი. ამ ეპარქიას შეადგენდა მთელი ოკრიბა და არგვეთის ნაწილი. გელათის საკრებულო ტაძარი გაამდიდრეს თავიანთი შეწირულობებით საქართველოს მეფეებმა და მმართველემა; ამ გვარ შეწირულებათა ეკუთვნოდენ: დასახლებული სოფლები, ოქროს და ვერცხლის ნივთები, სხვა და-სხვა გვარი ძვირფასეულობანი, ხელ-ნაწერები და სხვ. როცა პიწუნდის საპატრიარქო გაუქმდა, გელათში გადმოტანილ იქმნა პიწუნდის მთელი საუნჯე; ამის შემდეგ გელათში ხშირად ჰქონდათ ხოლმე საცხოვრებელი ადგილი აფხაზეთის კათალიკოზებსაც.

*) მონასტრის გზა ქუთაისიდგან გაივლის ჯერ ურიების უბანში, გადასჭრის ერთ მაღალ ქედს და შემდეგ ჩაეშვება ჭალაში, რომელზედაც მიმდინარეობს მდ. წყალ-წითელა. დღეს აქ გაყვანილია ტყიბულის რკინის გზის ტოტი და რკინის გზის სადგურიდამ ამ მონასტრამდის ვერსტ ნახევარი თუ იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართლიდგან.

(რეხის ხეობიდგან).

რეხის ხეობის ერთი სოფლის და სახელდობრ ს. ჭალის მკვიდრნი დღესასწაულობენ ჯვარი-პატიოსნის დღეობას. ეს დღეობა ყოველს წელს ხვდება ოთხშაფათს დღეს შემდეგ სულიწმიდის მოსვლისა. დღეობის მიზეზი არის ერთი იმ სამ ჯვართაგანნი, რომელნიც გაკეთებულ იქმნენ წმ. ნინოს დროს მცხეთაში. ერთი ამ ჯვართაგანი ასვენია დღეს სოფლის ჭალის ეკკლესიაში. ეს ჯვარი სიმაღლით იქნება ერთი საჟენი, წინა პირი ჯვარს შევერცხლული აქვს. ჯვარი სიძველისა გამო დაფუტურებულა მთლად და ამიტომ ის ჩაუსვამთ ხის ჩარჩოში.

ამ დღესასწაულის დროს, გარდა ს. ჭალის მკვიდრთა მრავალი ხალხი იკრიბება აქ მახლობელ სოფლებიდგანაც. წირვის შემდეგ ხსენებულს ჯვარს გამოასვენებენ ეკკლესიის გალავანში და აქ იხდიან სამადლობელ პარაკლისს. პარაკლისის გადახდის შემდეგ ჯვარს აასვენებენ და შემოუვლიან გარს მთელს სოფელს. ხალხს წინ მიუძღვის ჯვარი-პატიოსნის მნათე, რომელსაც ხელში უკავია „დროშა“ ანუ გრძელი ხე. ამ ხეს თავზე ჩამოცმული აქვს იუბკის მზგავსად შეკერილი ჩითი. ამ ,,დროშის‘‘ თავზე მიმბულია ოთხი პატარა ზარი. მნათე ანძრევს ხეს და აწკარუნებს ამ ზარებს. ხალხს თუმც მღვდელი მიუძღვის წინ, მაგრამ ამ პროცესიის დროს დიდი უწესოება ხდება: ხალხი მიასვენებს ჯვარს და თან მღერის ისეთ სიმღერებს, რომელნიც არ შეეფერებიან ღვთის-მსახურების დროს. სოფლის გარს შემოვლის დროს ყოველი ოჯახი, რომლის სიახლოვესაც გაივლის ეს ხალხი, ვალდებულია გამოუტანოს ხალხს ერთი დოქი ღვინო და პური. ხალხი ასვენებს ჯვარს დედა-მიწაზე და ქვეშ უგებს ჯვარს ქუდებს. შემდეგ ჩამოვარდება სიჩუმე, წარსდგება წინ ჯვარი-პატიოსნის მნათე, აიღებს ხელში ღვინით სავსე სტაქანს და იწყებს ლოცვას. ეს ლოცვა ძრიელ წააგავს დეკანოზების ლოცვას. მნათე იწყებს ხმა-მაღლა: „ჯვარო პატიოსანო, შენ გაუმარჯვე და შენი მადლი შეაწიე საქრისტიანოს, საქართველოს, საქართველოში ჭალის ხეობას“ და შემდეგ იხსენიებს მის სახელს, ვინც ღვინო და პური მიართვა ხალხს. მნათეს შემდეგ მღვდელი და დიაკვანი იღებენ ღვინოს და სმენ. შემდეგ ხალხი ჩამოირიგებს დანარჩენ ღვინოს და პურს. რადგან სოფლის გარს შემოვლის დროს ამ ხალხს მრავალ ოჯახების მახლობლად მოუხდება ხოლმე გავლა, ამიტომ მან დიდ ძალი ღვინო უნდა დალიოს, რის გამო, როცა ეკკლესიაში ბრუნდება, მეტად დამთვრალნი არიან ყველანი. სოფლის გარს შემოვლის დროს მონაწილეობას იღებენ მარტო ჭალის მამა-კაცნი. სხვა სოფლიდგამ მოსული ხალხი რჩება ამ დროს ეკკლესიის გალავანში და ჭიდაობას მართავს. თუმც ამ დღეს ეკკლესიაში მიდიან ჭალის მცხოვრებნი და სხვა სოფლელნიც, მაგრამ არა ღვთის სადიდებლად, არამედ ღვინის დასალევად, დასათრობად და ჭიდაობის საცქერად.

დრო არის, რომ ამ სოფლის მღვდლებმა ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ და მოაშლევინონ ხალხს ასეთი ცუდი ჩვეულება. სოფლის გარს შემოვლის დროს ხალხი უბრალო სიმღერებს კი არ უნდა იმღეროდეს, არამედ უნდა გალობდეს საეკლესიო საგალობლებს და, თუ ეს საგალობლები ხალხმა არ იცის, მაშინ ამაებს უნდა გალობდეს მღვდელი და მედავითნე. როცა ჯვარს მიასვენებენ და სოფელს უვლიან გარს, ღვინის სმას და მთვრალობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. თუ მაინც-და-მაინც ღვინის სმა უნდათ, მოაგროვონ ღვინით სავსე დოქები და პურები და, როცა ჯვარს შეასვენებენ ეკლესიაში, მერე დალიონ და სჭამონ. შეიძლება ამ შემთხვევაში წინაალმდეგობა გაუწიოს ხალხმა მღვდელს, მაგრამ მღვდელი ხალხის წინაალმდეგობას არ უნდა შეუშინდეს; მან ყოველიფერი ღონე უნდა იხმაროს, რომ ეს უმნიშვნელო ხარჯი მოასპობინოს ხალხს და მასთან გააგებინოს ისიც, თუ როგორ უნდა დღესასწაულობდეს ხალხი ეკლესიურ დღეობებს.

ოთხმახიანი.

## აპრილის 1 ლი.

### გორის საზოგადოებისაგან მირთმეული ყოვლად სამღვდელო ალექსანდრესადმი 3 მარტს, 1887 წ. მათი ყოვ. უსამღვდელოესობის ოცდა-ხუთი წლის სამსახურის დღესასწაულობისა გამო.

თქვენო ყოვლად-უსამღვდელოესობავ,
ყოვლად-უსამღვდელოესო მეუფეო,
მოწყალეო მღვდელ-მთავარო!

«ესე არს დღე, რომელ ჰქმნა უფალმან, ვიხარებდეთ და ვიშვებდეთ ამას შინა.»

ნათლის გულით, ზეაღტაცებულნი სიხარულითა, მოგილოცავთ მრავალ-მნიშვნელოვანს დღესას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წაულს თქვენის ოცდა-ხუთის წლის საქართველოს ეკკლესიის დაუცხრომელს სამსახურისას. ამ დღესასწაულმა აღძრა ჩვენში დაუფასებელნი, ტკბილნი მოგონებანი თქვენის ღვაწლისა და შრომისა, რომელნიც ცხადათ ჰხატავენ თქვენის ნათელი სულის თვისებასა.

თქვენ ყოველთვის და ყველასათვის იყავით და ხართ ნუგეში, ყოველთვის ყოფილხართ და ხართ ნავთ-საყუდელი გაჭირვებულთა; კარი სახლისა თქვენისა მუდამ ღია არს მათთვის, რომელნიც მოისწრაფიან თქვენდამი შემწეობის მისაღებად. ღრმად პატივცემულო მღვდელ-მთავარო, თქვენ ყველას ერთნაირად ჰფენდით ნათელსა სიყვარულისასა, ყველა ერთნაირად გიყვარდათ, ყველას მამა-შვილური ალერსით და თავაზიანობით ეპყრობოდით. შემოვდივართ თქვენთან, როგორც უფროსთან; გამოვდივართ სულითა მხიარულნი და გულით დამშვიდებულნი, როგორც მშობელი-მამის სახლიდამ. ყოველი ჩვენგანი ისწრაფის თქვენთან მოსვლასა, რათა გაუწყოს თვისი დარდი და სიხარული, ჭირი და ლხინი. რამდენად დაუფასებელია ის ადამიანი, რომელსაც მსგავსივე ადამიანი თავის ჭირსა და ლხინს ანდობს და უზიარებს და სანაცვლოდ ესმის სიტყვა ნუგეშინისა,—ეს ყველამ ვიცით გამოცდილებით.

საუკუნოდ დაშთებიან ჩვენს ხსოვნაში თქვენი ფიქრი და ზრუნვა სასულიერო წოდების შვილთათვის, თქვენი ღვაწლი და შრომა, თქვენი მშვიდობიანი და აღუშფოთებელი მღვდელ-მთავრული სამსახური ეკკლესიისადმი. მოწყალება და სიყვარული არის თვისება თქვენის ნათელის ტკბილის სულისა. თქვენ იქამდის კეთილი იყავით და ხართ გულითა და სულითა, იქამდის ხართ აღვსებულნი მოყვასისადმი სიყვარულითა, რომ როგორც მამა მუდამ მზად იყავით ხელი შემწეობისა მიგეცათ დაობლებულ, ობრად დატოვებულ სამღვდელოთა სახლობათათვის. დასამტკიცებლად ამისა ჩვენ დავასახლებთ სამღვდელოების ობოლთათვის თქვენ მიერ დაარსებულს სტიპენდიებსა, რომელნიც საუკუნო და დაუვიწყარი ძეგლია თქვენის მზრუნველობისა, თქვენის სიყვარულით აღვსილის გულისა.

შუქი თქვენის ქველ-მოქმედებისა, სიყვარულით აღვსილო მეუფეო, იყო ისე ძლიერი, ისე ნათელი, რომ იქონია ჯეროვანი მოქმედება სხვებზედაც: ჩვენნი თავად-აზნაურნი და ვაჭარნი, თქვენის შთაგონებით და მაგალითით უხვად იღებდნენ შესაწირავსა გასაახლებლად ეკკლესიებისა, მონასტრებისა, სკოლებისა და საზოგადოდ ღვთისა და კაცის მოსაწონ საქმეებისა.

პირველი მღვდელ-მთავრული მოღვაწეობა თქვენი იწყობა საქართველოს განაპირა ნაწილში, დიდებულს კოლხიდაში, სადაც მოღვაწეობდა მოციქული ქრისტესი სვიმონ კანანელი; როგორც ნამდვილი მოციქული ქრისტესი გულის წმიდით, თავ-განწირულად ებრძოდით ამ უძველეს საქართველოს ნაწილში წარმართობას, ავრცელებდით ქრისტიანობას და აგებდით ტაძრებსა.

ხან-მოკლე მყოფობა თქვენი გურიის სამწყსოში დააგვირგვინეთ მით, რომ გამართეთ ქალთათვის სასწავლებელი და, რომ უზრუნველ გეყოთ იგი, აღმოუჩინეთ ღონე და თვით თქვენ შეიტანეთ არა მცირედი წვლილი მისის დღე-გრძელობისათვის.

არა მარტო ქალების სასწავლებლის გამართვა და დაარსება შეადგენდა საგანს თქვენის ზრუნვისასა და შრომისასა გურიაში მყოფობის ჟამსა:—არის კიდევ უფრო თვალ-საჩინო ძეგლი, საუკუნო სახსოვარი, თქვენის დაუღალავის მოქმედებისა. ეს ძეგლი არის სახლი ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის მშვენიერის წალკოტით, რომელიც შეძენილ იქმნა თქვენის მეცადინეობით, თქვენის მოწყალებით.

ყოვლად-სამღვდელო მეუფეო, თქვენ უყურადღებოთ არ დასტოვეთ არც ჩვენი ძველი მწერლობა, ის მრავალ მნიშვნელოვანი განძი, შეკრებილი ჩვენთა წინა-პართაგან, ის მრავალ-მნიშვნელოვანი ნამოქმედარი, ნაღვაწი ღვაწლ-შემოსილთა ქართველთა სასულიერო მწერალთაგან. ამ ჩვენის სამშობლოს საღვთისმეტყველო ლიტერატურის განძთა, რომელნიც მონასტრების სარდაფებში ლპებოდნენ, მხოლოდ თქვენის შეოხებით, თქვენის შემწეობით იხილეს ნათელი ქვეყნიური და თვითცა მოჰფინეს ნათელი სამშობლო ლიტერატურასა.

თქვენ დიდი ხანია იგრძენით და დააფასეთ, რომ ყოვლად საჭიროა აღდგენა და მკვიდრს ნიადაგზედ დამყარება ქართულის საეკკლესიო გალობისა, რომელიც, ჩვენდა სამწუხაროდ, სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო, ამ ჟამად არა სანატრელ ყოფაშია. ქართული გალობა თუმცა ჯერედ სრულად არ არის აღდგენილი, მაგრამ თქვენი დაუცხრომელი შრომა და უხვი შეწირულებანი მოხსენებული საგნისათვის უეჭველი საბუთია იმისი, რომ მალე, ძალიან მალე, საქართველოს ეკკლესიებში გავიგონებთ ძველებურს, ტკბილ-ქართულ, ხმა-შეწყობილს საეკკლესიო გალობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თქვენს უხვს და მოწყალე გულს სამჩლვარი არა აქვს: დღით-დღე, დღე-მუდამ, თქვენი სიყვარული სამშობლო ეკკლესიისადმი არა თუ სცხრება, არამედ უფრო და უფრო ფრთას ისხავს: განახლება შესანიშნავის საქართველოს საეკკლესიო ისტორიაში, მაგრამ დავიწყებულის, შიო მღვიმის უდაბნოისა შეადგენს გვირგვინს, დიდებას თქვენის მოღვაწეობისას სამშობლოისადმი. აზრი და განზრახვა თქვენი დიდ არს; თქვენგან ახლად დაწყობილს საქმეს, რომელსაც თქვენ შესწირეთ 21, 100 მ. დიდი მნიშვნელობა აქვს; ეს ფრიად ცხადია და არ საჭიროებს ახსნასა და გამოსარჩლებასა. შიომღვიმის უდაბნოის განახლება, უკეთუ შემწე გეყოლებათ ყოვლად წმიდა ქალწული მარიამი, რომლის წილ-ხვედრშიაც თქვენ მოღვაწეობთ, იქნება ფრიად თვალ-საჩინო, დაუვიწყარი ისტორიული ძეგლი თქვენის მრავალ-ნაყოფიერის მოღვაწეობისა; სახელი თქვენი დარჩება საქართველოში უკუნისამდე და აღიბეჭდება ოქროს ასოებითა საქართველოს ეკკლესიის ისტორიის მატიანეში თქვენთა მადლიერ შვილთა მიერ. ყველა თქვენი კეთილნი აზრნი და განზრახვანი ჩვენგნით ჯერედ კიდევ ცხადად შეგნებულნი არ არიან, იმიტომ რომ ბევრის მათგანის აღსრულება ჯერ არ გვიხილავს, მაგრამ მოვა დრო, როდესაც ყოველი თქვენი კეთილი განზრახვა განხორციელდება, გამოიღებს ყვავილს და აი მაშინ და მხოლოდ მაშინ მოიხსენებენ საქართველოს შვილნი სახელსა შენსა კურთხევით უკუნისამდე.

გამსჭვალულნი თქვენდამი უღრმესის სიყვარულითა და პატივის ცემითა განცვიფრებულნი თავ-განწირულის, ნაყოფიერის, ოც-და-ხუთი წლის მღვდელ-მთავრის მოღვაწეობითა თქვენითა, გულის წმიდით შევსთხოვთ მამასა ზეცათასა და ყოვლად წმიდა ქალწულს მარიამსა, მფარველსა ივერიისასა, რათა განამრავლონ დღენი ცხოვრებისა თქვენისა სამშობლო ეკკლესიის სადიდებლად მრავალჟამიერ; რათა თქვენი თავდადებული სიცოცხლე დიდ ხნობით იყოს ლამპრად, ცხოველ და კეთილ მაგალითად თავგანწირულის მოღვაწეობისა და წმიდა, შეუმწიკვლელის ცხოვრებისა.

## ადრესი 2-რე.

### თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ, მღვდელ-მთავარო ალექსანდრე!

გორის მაზრის თავად-აზნაურობამ, როგორადაც თვის წარმომადგენელს, დამავალა მე განგიცხადოთ უღულითადესი თანაგრძნობა, გულწრფელი პატივის-ცემა იმ ჭეშმარიტის მღვდელ-მთავრულის მოღვაწეობისათვის, რომელსაც მთელი ოც-და-ხუთის წლის განმავლობაში მიზნათა ჰქონდა სამშობლოს ქვეყნის წარმატება და გ[...]ათ-სათნოება და სიყვარული თანამემამულეთა.

წრფელის სულით და წმიდის გულით მოგილოცავთ, თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ, თქვენის საზოგადო მოღვაწეობის ოც-და-ხუთის წლის შესრულებას და ვსთხოვ ყოვლად მოწყალე ღმერთსა განაგრძოს სიცოცხლე თქვენი კვალად მრავალჟამიერ!..

საქართველოს ყოველი გაგებული შვილი შემოგცქერით თქვენ როგორათაც თავის საყვარელს მამას, კეთილს მწყემსს, მადლიანის საქმეების ამაღლებულს მღვდელ-მთავარს!.. ამ გვარი პირი სასიქადულოა ყოველის ივერიელისათვის; მაგრამ ჩვენთვის მომეტებულად უფრო სასიქადულო ბრძანდებით, რადგანაც შთამამავლობით და ბინადრობით უპირველესად ეკუთვნით ჩვენს მაზრას, რომელსაც ჭეშმარიტად, უფლება აქვს თვისი თავი თქვენის სახელით მოიწონოს სხვების წინაშე. ვინატრით, რომ თქვენი მზგავსი მოღვაწე, კიდევ სხვებიც აღეზარდოს ჩვენს მაზრას.

თქვენი წმიდა მოღვაწეობა, ყოვლად სამღვდელო მეუფეო, თვის მადლიან სხივებს ჰფენდა ამ წარსული ოც და-ხუთის წლის განმავლობაში არა ერთს რომელსამე საზოგადოებას,—ნაწილს საქართველოსსას, არამედ ყოველს წოდებათ და მათ შორის თავად-აზნაურობასაც, რომელიც ამის გამო სამართლიანად აფასებს თქვენს შრომას და მოწიწებით შესცქერის თქვენს სახელს.

ჩვეულებრივ-ს მხნეობით მისდიეთ, ყოვლად სამღვდელოვ, თქვენს წმიდას გზას და გწამდეთ, რომ ყოველს შემთხვევაში გულწრფელი თანაგრძნობა მთელის თავად-აზნაურობისა ფიანდაზით ექნება წინ გადაშლილი თქვენს მოვალეობას... თქვენი საქმენი ამ ჟამად არიან სამაგალითონი და მომავალში მათზედ მოთხრობა იქნება დამამშვენებელი არა მხოლოდ საეკკლესიო, არამედ სრულიად საქართველოს ისტორიის

დავშთები თქვენის ყოვლად-უსამღვდელოესობის ლოცვა კურთხევის, მეოხი გულითადი პატივის მცემელი თქვენითანა მემამულე, გორის მაზრის თავად-აზნაურთ წინამძღვარი....

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემი ალსარება.

ღარიბი ვარ, მეც ვხედავ,
რომ ღარიბად ვშობილვარ,
მაგრამ სარჩოს სათხოვრად
არავის მივსდგომივარ.

—

ჩემი შრომითა ვსცხოვრობ,
არვის ტვირთი არა ვარ,
რაც მარგუნა მე ბედმა,
იმით კმაყოფილი ვარ.

—

ჩემი მშრალი ტკბილია
იმიტომ რომ ჩემია,
ჩემის ოფლით მოგვრილი
ჩემი შრომის შვილია.

—

ცოდვა არავისი მდევს,
მისგან გაწმენდილი ვარ,
სინდისი წრფელი მაქვს,
და ამით ბედნიერი ვარ.

—

ჩვენთვის ჯვარცმულის მცნება
კარგად მაქვს შეგნებული,
მოყვასის ერთგულება
მტკიცედ მაქვს დაწერილი.

—

ცუდი არც მტრისათვის მსურს
ყველას თვის კარგი მინდა,
რასაც მაძლევს მე შრომა,
სხვასაც ვარგო, ის მინდა.

—

ამით ვარ დაჩაგრული
არავინ გამიტანა,
უმართლო შურის გებამ
ლამის გადამიტანა.

—

ვისიც ერთგული მე ვარ,
ჩემი მტერი ის არი,
პირველი მან მომარტყა
გულში მკვლელი ისარი.

—

ვისიც კეთილ-დღეობა
ჩემთვის სანატრელია,
ჩემი ტანჯვა წვალება
მათთვის სახარელია!!.

—

მაგრამ რა გაეწყობა
ჩემი ბედი ეს არის,
ვინც სიმართლეს მსახურებს
მისი მხვედრიც ეს არის...

ქაიხოსრო გელოვანი.

## ახალი ამბები და შენიშვნები.

ერთი ოთხ-კლასიანი სასულიერო სასწავლებლის ოლქის სამღვდელოების კრებას, როგორც გვაუწყებს „ეჟენედელნოე ობოზრენიე“, თავის ჟურნალური დადგენილობით გაუნთავისუფლებია ამ სასწავლებლის ზედამხედველი 1000 მანეთისაგან, რომელიც ამ ზედამხედველს ვალად დასდებია სასწავლებლის ფულებიდგან. ამ შემთხვევისა გამო უწმიდეს სინოდს საჭიროდ უცვენია ცირკულიარული მიწერილობით ეცნობებია ეპარქიის მღვდელთ-მთავრებისათვის, რათა ამ უკანასკნელებმა გამოუცხადონ მათდამი რწმუნებული ეკკლესიების კრებულთ, რომ სამღვდელოების შეკრებილებათ არა აქვსთ უფლება, მხოლოდ ერთი თავის შეხედვით, განათავისუფლონ ვინმე ამ გვარი ფულებიდგან, რადგან სასწავლებლის შესანახავად საჭირო ფულები იკრიბება ეკკლესიებიდგან, რომლებსაც ამ ხარჯს გარდა სხვა ხარჯებიც აწევსთ თავზე.

***

ჩვენ მივიღეთ მერვე გამოცემა ვეფხვის-ტყაოსნისა გამომცემლის ბ. ბრ. ჩარკვიანისაგან. წიგნი ძალიან კარგად არის გამოცემული, მაგრამ ერთი მანეთი ფასი ისეთ წიგნზე, რომელიც ასე გავრცელებულია და რომელიც ასეთ საყვარელ საკითხავ წიგნს შეადგენს ჩვენი ხალხისათვის, ძალიან ძვირად მიგვაჩნია. წიგნში არის სურათი შესანიშნავი პოეტის რუსთაველისა.

***

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მოსკოვის უწყებანი" გვაცნობებენ, რომ კერძო კომისიას, რომელიც შედგენილი ყოფილა უწმიდეს სინოდთან დაარსებულ სასწავლებლის რჩევის და საერო განათლების სამინისტროს წევრთაგან, შეუმუშავებია ახალი პროექტი, რომლის ძალით სამინისტროს პირველ-დაწყებითი სახალხო სკოლები უნდა შეუერთდენ საეკკლესიო-სამრევლო სკოლებს. ამ საგნის შესახებ ახლად დადგენილი წესდება შევა ძალაში მომავალი სასწავლებო წლიდგან პირველად რუსეთის დასავლეთ გუბერნიებში და შემდეგ არხანგელის და ორენბურგის გუბერნიებში. ამ წესდებულების ძალით ზემოთ აღნიშნულ ადგილებში არსებული სამინისტროს პირველ-დაწყებითი სკოლები გადაკეთებულ იქმნებიან საეკკლესიო სამრევლო სკოლების მზგავსად. უმახლობელესი ზედა-მხედველობა ამ სკოლებზე დროებით ექნებათ ისევ ეპარქიების მღვდელთ-მთავრებს და გუბერნიის სასწავლებელთ რჩევებს, კუთვნილებისა მებრ. ამას გარდა შესდგება ახალი უმაღლესი სასკოლო საბჭო, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ არქიელი, გუბერნატორი და სასოფლო სკოლების დირექტორი.

***

„ოდესის ვესტნიკ"-ს აცნობებენ პეტერბურგიდამ, რომ საერო განათლების სამინისტროში აღძრულია კითხვა უნივერსიტეტებში ლექციებ-ს მოსმენის უფლებისათვის გადასახად ფულების მომატებაზე. ის ხმები, ვითომც ამ მოკლე ხანში კლასიკურ გიმნაზიებში გაძლიერებულ უნდა იქნეს რუსული ენის სწავლება და ძველი ენების გაკვეთილები შემოკლებულ, თან-და-თან უფრო და უფრო მართლდება. ინებოს ღმერთმა!

***

„ეჟენედელნოე ობოზრენიე" გვაუწყებს, რომ პეტერბურგის ფოსტის გამგეობას განუზრახავს ფიცხელი ზედამხედველობა იქონიოს, რომ ფოსტით გაგზავნილ წერილებს და უბრალო კორრესპოდენციებს თავის დროზე ილებდნენ პატრონები. ამისათვის, როცა ფოსტაში მიღებულ წერილებს და კორრესპოდენციებს გადაარჩევენ, ზოგიერთ წერილებს ჩასწერენ განსაკუთრებულ წიგნებში. შემდეგ რამდენიმე დღისა, ამ წერილების და კორრესპოდენციების პატრონებთან ჩამოივლის ფოსტის მოსამსახურე (ЧИНОВНИКЪ) განსაკუთრებული უწყებით და გამოიკითხავს, თუ როდის მიუღიათ მათ ამა-და ამ დროს და ამა-და-ამ ადგილიდგან გამოგზავნილი წერილები და კორრესპოდენციები.

ძალიან კარგი იქნებოდა, რომ ჩვენი რკინის გზის ფოსტების მთავრობაც იხმარდეს რაიმე ღონეს, რომ წერილები და ბანდეროლებით გაგზავნილი კორრესპოდენციები თავის დროზე მიუვიდესთ პატრონებს. თორემ დღეს ბევრი წერილები და კორრესპოდენციები, რომლებსაც რკინის გზის სადგურებთან დაკიდებულ ფოსტის ყუთებში ჰყრიან, ან სრულიად იკარგებიან და ან თავის დროზე არ მიდისთ პატრონებს.

***

პირველ ივლისიდგან ქ. ქუთაისში აპირებენ ახალი გაზეთის გამოცემას რუსულს ენაზე. ამ გაზეთს სახელად ერქმევა: „ქუთაისის გუბერნიის უწყებები". გაზეთის რედაქტორად იქნება გამგე ქუთაისის სტატისტიკური განყოფილებისა, ბ. ბოჩკარევი.

***

კიევის და გალიციის მიტრაპოლიტს შეუწყნარებია, როგორც გაზეთი "კიევლიანინ"-ი გვაცნობებს, თხოვნა კიევის აკადემიის მესამე კურსის სტუდენტის ლონგინოზ ოქროპირიძისა, რომელსაც უსურვებია ბერად წასვლა. უ. ოქროპირიძე უკვე უკურთხებიათ მთავარ-დიაკვნად. ეს ოქროპირიძე არის ქართლიდამ, მღვდლის შვილი; მან 1884 წ. შეასრულა სწავლა სტავროპოლის სასულიერო სემინარიაში. კურსის შესრულების შემდეგ სემინარიის სამმართველომ ოქროპირიძე, როგორც ერთი საუკეთესო სტუდენტი, გაგზავნა კიევის აკადემიაში. უ. ოქროპირიძე არის 26 წლისა.

***

„ივერია"-ში ვკითხულობთ, რომ ამ მოკლე ხანში გამოვა რუსულს ენაზე რჯულდება, ანუ სიმართლის წიგნი ვახტანგ VI-ისა. წიგნი მდიდრულად იქნება შემზადებული ბ-ნ ზ. ბაქრაძის შენიშვნებით. ამ შენიშვნებიდამ მკითხველნი ნათლად დაინახვენ ქართველების ძველს საზოგადოებრივს, პოლიტიკურს და სამოქალაქო მდგომარეობას, აგრეთვე მაშინდელს ადათს, ზნესა და ჩვეულებას. ბ-ნ ბაქრაძეს მრავლად უსარგებლნია არა მარტო ცნობილ წიგნებიდამ, არამედ ძვირფასი ცნობები ამოუღია სხვა-და-სხვა დაუბეჭდავ იადგარებიდამ, გუჯრებიდამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სიგელებიდამ. ამ წიგნის გამომცემელი არის ბ-ნი ფრენკელი.

***

იმავე გაზეთში ვკითხულობთ, რომ ტფილისის რკინის გზის სატეხნიკო სკოლაში მიიღებენ შეგირდებს პირველს კლასში 17 და 18 აგვისტოდამ. ამ დღეებში იქმნება ეგზამენები არითმეტიკისა და რუსულის ენიდამ. თხოვნა უნდა შეიტანოს მსურველმა 5—15 აგვისტომდე სკოლის უფროსის სახელზე. თხოვნასთან უნდა წარადგინოს მოწმობა კურსის შესრულებისა საქალაქო ანუ ორ კლასიან სასოფლო სკოლაში, წლოვანებისა და ყვავილის აცრისა. წლოვანებით უნდა იყოს 14 - 17 წლამდე.

***

ხმებია, რომ აგვისტოში თფილისში მობრძანდება იუსტიციის მინისტრი ბ-ნი მანასეინი და რევიზიას მოახდენს თფილისის სამსაჯულო პალატაში.

***

წელს ქუთაისის სასულიერო ოთხ-კლასიან სასწავლებელში კურსი შეასრულეს 43 მოწაფემ. ამ 43 მოწაფეში თფილისის სემინარიის პირველ კლასში გაგზავნილ იქმნა სასწავლებლის სამმართველოსაგან 24 მოწაფე.

***

გორის სასულიერო ოთხ-კლასიან სასწავლებელში კურსი შეუსრულებიათ წელს 6 მოწაფეს, ამათში ხუთი მოწაფე გაუგზავნია სასწავლებლის სამმართველოს თბილისის სასულიერო სემინარიის პირველ კლასში.

---

## რედაქციის პასუხი.

ს. ქოცნარს. ბ. ბ—ძეს. კარგად ქადაგება შეუძლია ნასწავლ მღვდელს, მაგრამ ნასწავლი პირები არ მიდიან სოფლებში მღვდლად, რადგან მრევლნი არ ეძებენ ამისთანა მღვდლების რჩენას. კარგ მუშას კარგი ჯამაგირი უნდა...

მღ. ი. ჩა—ძეს. თქვენგან გამოგზავნილი ლექსები გლახაკზე და მდიდარზე არ დაიბეჭდება. მათ გასწორებას ხელახლად დაწერა სჯობს.

ზუგდიდში. მღვდელს იოანნე კონკავას. თეთრი ღვინის ხმარება გვირგვინის კურთხევის შესრულების დროს, რასაკვირველია, შეიძლება. გვირგვინის კურთხევას კანონიდგან ნებადართულ დღეებში მეორე დღის წირვის შესრულება არ დააბრკოლებს. ცხოველების დაკვლა მღვდლებს ეკკლესიური კანონით აქვსთ აღკრძალული

რაჭაში. მ. სო—ძეს. მოხდა განკარგულება, რომლის ძალით აღეკრძალათ ის, რის მოსპობაზედაც თქვენ სწერდით.

მღვ. ი. კანკავას. ერთი კაცის ცუდი მოქმედებიდამ „საზოგადო დასკვნა არ უნდა გამოვიყვანოთ ყველაზე.

თფილისს. გ. ი. გვე—ნს. ნე თუ არ იცით თქვენ ცუდი მიზანი ლ. ნ. ტოლსტოის «სამი მოხუცი»-ს მოთხრობისა? ვსწუხვართ, რომ ტყუვილა დამაშვრალხართ. გრაფი ტოლსტოი ამ ბოლო დროს, ცოტა არ იყოს, აირია და იმის ნაწერებშიაც სჩანს ეს არევ-დარევა!..

---

შინაარსი: თბილისის ეპარქიალური საქალებო სასწავლებლის რჩევისაგან.—უმაღლესი ჯილდო.—გორის სასულიერო სასწავლებლის ანგარიში. – რა სარგებლობა მოიტანა სამღვდელოების ყრილობამ ორი წლის განმავლობაში?—იმერ. სამღვ. დეპუტატთა კრება ქ. ქუთაისში.—გელათის მონასტერი. — ქართლიდგან.—ადრესი, გორის საზოგადოებისაგან მიმართული ყოვლად სამღვდელო ალექსანდრესადმი.—ლექსი.—ახალი ამბები და შენიშვნები.—რედაქციის პასუხი.

---

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. *Доз. цензурою Кутаисъ, 1887 г. 29 Іюн.*

საკუთარი მსწრაფლ-მბეჭდავი რედაქციისა.